№467 2016 წლის 21 მარტი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2016 წლის განმავლობაში პარკ „მზიურის“ რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს უფლება, 2016 წლის განმავლობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, პარკ „მზიურის“ რეაბილიტაციისათვის განახორციელოს საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, 155 000 (ას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ფარგლებში, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის

№32-127 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული „გამწვანების ღონისძიებების“ პროგრამით (პროგრამული კოდი: 03 01) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**